



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო**



განკარგულება:გ-49.49221759

თარიღი:24/06/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 78**

**შპს „სანატორიუმ წყალტუბოსათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით , 10 (ათი) წლის ვადით ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის “უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018 ) ნაწილის- 3673.23 კვ.მ. ფართის გადაცემის შესახებ,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ივნისის (№48-482217251) წერილი , რომელშიც შპს „სანატორიუმ წყალტუბოს“ დირექტორის განცხადების საფუძველზე, ითხოვს თანხმობას,მითითებულ შპს-ს დასასვენებელი პარკის მოწყობის მიზნით (მოეწყობა ტერიტორია, დაიდგმება საჩრდილობელი ქოლგები, გრძელი სკამები, ბავშვთა კუთხე, განხორციელდება ადრე არსებული აუზის რეაბილიტაცია, იმოძრავებს გადასაადგილებელი სანაყინეები და დიზაინის შესაბამისი სხვა ობიექტები), პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული, 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018 ) ნაწილი - 3673.23 კვ.მ. ფართი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს, შპს „სანატორიუმ წყალტუბოს“ პირდაპირი განკარგვის წესით,სარგებლობის უფლებით, იჯარით, 10 (ათი) წლის ვადით გადაეცეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანებისათვის “უზუფრუქტით გადაცემული 7094.0 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკ.კოდი N29.08.34.018 ) ნაწილი - 3673.23 კვ.მ. ფართი.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

